საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭოს

დადგენილება №2

2023 წლის 3 ნოემბერი

ქ. თბილისი

საქსტატის მიერ სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებს გარეთ სტატისტიკური მონაცემების დამატებითი დამუშავებით მომსახურების სახეობებისა და საფასურის განსაზღვრის წესი

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის საბჭო **ადგენს:**

მუხლი 1

"ოფიციალური სტატისტიკის შესახებ" საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ.ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე, დამტკიცდეს "საქსტატის მიერ სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებს გარეთ სტატისტიკური მონაცემების დამატებითი დამუშავებით მომსახურების სახეობებისა და საფასურის განსაზღვრის წესი".

მუხლი 2

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აღმასრულებელი დირექტორი **გოგიტა თოდრაძე**

საქსტატის მიერ სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებს გარეთ სტატისტიკური მონაცემების დამატებითი დამუშავებით მომსახურების სახეობებისა და საფასურის განსაზღვრის წესი

მუხლი 1. რეგულირების საგანი

სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებს გარეთ სტატისტიკური მონაცემების დამატებითი დამუშავებით მომსახურების სახეობებისა და საფასურის განსაზღვრის წესი (შემდგომში – წესი) განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებს გარეთ საქსტატის მიერ სტატისტიკური მონაცემების დამატებით დამუშავებით მომსახურების სახეობებს და ადგენს თითოეული ამ მომსახურების საფასურს.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

1. საქსტატი – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური;

2. სტატისტიკური სამუშაოების პროგრამა – საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წლიური ან მრავალწლიანი გეგმა, რომელიც ძირითადად შეიცვას ინფორმაციას შესასრულებელი სამუშაოთა ჩამონათვალსა და მათ შემსრულებელთა, აგრეთვე შესაბამისი დაკვირვების ჩატარების პერიოდულობისა და მისი შედეგების გამოქვეყნების თარიღის შესახებ;

3. გავრცელება-მოქმედება, რომლის შედეგადაც სტატისტიკური მონაცემები, სტატისტიკური ანალიზის შედეგები, სტატისტიკური მომსახურება და მეტამონაცემები მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომი ხდება;

4. მასობრივი ინფორმაციის საშუალება – ტელე-რადიო პრაგრამები, ვიდეო და კინოდოკუმენტალისტიკა, ჟურნალები გაზეთები და სხვა პერიოდული ან ერთჯერადი გამოცემები,

რომლებიც განკუთვნილია ინფორმაციის საჯარო გავრცელებისთვის;

5. პრესა – გაზეთების, ჟურნალების და სხვა ბეჭდვითი ტიპის მასობრივი პერიოდული გამოცემები;

6. სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრი – „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ოჯახის წევრი, რომელსაც მინიჭებული აქვს 100 000 ან 100 000-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულა;

7. საერთაშორისო ორგანიზაცია – სახელმწიფოთაშორისი, მთავრობათაშორისი ან არასამთავრობო ხასიათის მუდმივი გაერთიანება, შექმნილი საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე;

8. ინვესტორი კომპანია – არარეზიდენტი კომპანია, რომელიც არის საქართველოს რეზიდენტი კომპანიის დამფუძნებელი. ბანკების შემთხვევაში დამფუძნებლების ვინაობა საჯაროა;

9. სხვა ფასიანი ინფორმაცია – მომსახურების სახე, რომელიც არ არის ჩამოთვლილი ამ წესის მე-3 მუხლში.

მუხლი 3. სტატისტიკური მონაცემების დამატებითი დამუშავებით მომსახურების სახეობები და მათი გავრცელების საფასური

1. სტატისტიკური მონაცემების დამატებითი დამუშავებით მომსახურების სახეობები და მათი გავრცელების საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად:

N	მომსახურების სახე	ერთეული	მომსახურების ტარიფი (დღგ- ის ჩათვლით)
01 001	ცალკეული საწარმოს (ორგანიზაციის) ზომის შესაბამისი დიაპაზონის (მცირე, საშუალო, მსხვილი) მიხედვით	1 საწარმოზე (ორგანიზაციაზე) 1 ინტერვალი	5 ლარი + 0.10 ლარი თითოეულ საწარმოზე (ორგანიზაციაზე)
01 002	სამრეწველო პროდუქციის წარმოება ნატურალურ და ღირებულებით გამოხატულებაში	1 მონაცემი ერთი კონკრეტული პერიოდისათვის	7 ლარი
01 003	რეგისტრირებული ავტომობილების რაოდენობა მარკების მიხედვით	1 მარკის ავტომობილების რაოდენობა ერთი კონკრეტული პერიოდისათვის	10 ლარი
01 004	ბიზნეს სექტორის საქმიანობის ამსახველი მაჩვენებლები ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის "სეკ 001-2004" და "სეკ 006-2016" 4 და 5 ნიშნა დონეზე	1 პერიოდის 1 მონაცემი	5 ლარი + 1 ლარი თითოეულ მონაცემზე
02 001	სავალუტო კურსების საფუძველზე თანხების გადაანგარიშება ეროვნულიდან უცხოურ ვალუტაში და პირიქით) ცნობა	ცნობა 1 პერიოდზე	5 ლარი + 2 ლარი 1 პერიოდზე
03 001	ექსპორტი/იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 სასაქონლო კოდი	5 ლარი + 1 ლარი 1 პერიოდზე 1 სასაქონლო კოდზე
03 002	ექსპორტი/რეექსპორტი/იმპორტი საქონლის მიხედვით სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების შესაბამისად	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 საქონელი	5 ლარი + 1 ლარი 1 პერიოდზე 1 საქონელზე

03 003	ექსპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9 ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდის (თვე, წელი) მთლიანი სასაქონლო ნომენკლატურა (01-24 ჯგუფების შემთხვევაში არსებული ტარიფების ნახევარი)	1 პერიოდი - 80 ლარი 2-3 პერიოდი 100 ლარი 4-6 პერიოდი 130 ლარი 6-12 პერიოდი 160 ლარი
03 004	ექსპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 11 ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდის (თვე, წელი) მთლიანი სასაქონლო ნომენკლატურა (01-24 ჯგუფების შემთხვევაში არსებული ტარიფების ნახევარი)	1 პერიოდი - 90 ლარი 2-3 პერიოდი 110 ლარი 4-6 პერიოდი 140 ლარი 6-12 პერიოდი 170 ლარი
03 005	ექსპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11-ნიშნა კოდების მიხედვით	1 პერიოდის (თვე, წელი) მთლიანი სასაქონლო ნომენკლატურა	1 პერიოდი - 30 ლარი 2-3 პერიოდი 50 ლარი 4-6 პერიოდი 60 ლარი 6-12 პერიოდი 90 ლარი
03 006	იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9 ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდის (თვე, წელი) მთლიანი სასაქონლო ნომენკლატურა (01-24 ჯგუფების შემთხვევაში არსებული ტარიფების ნახევარი)	1 პერიოდი - 90 ლარი 2-3 პერიოდი 110 ლარი 4-6 პერიოდი 140 ლარი 6-12 პერიოდი 190 ლარი
03 007	იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 11 ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდის (თვე, წელი) მთლიანი სასაქონლო ნომენკლატურა (01-24 ჯგუფების შემთხვევაში არსებული ტარიფების ნახევარი)	1 პერიოდი - 100 ლარი 2-3 პერიოდი 120 ლარი 4-6 პერიოდი 150 ლარი 6-12 პერიოდი 200 ლარი
03 008	იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით	1 პერიოდის (თვე, წელი) მთლიანი სასაქონლო ნომენკლატურა	1 პერიოდი - 50 ლარი 2-3 პერიოდი 80 ლარი 4-6 პერიოდი 100 ლარი 6-12 პერიოდი 150 ლარი
03 009	ექსპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11-ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდის (თვე, წელი) 1 საქონელი	5 ლარი
03 010	იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდის (თვე, წელი) 1 საქონელი	10 ლარი
03 011	ექსპორტი ქვეყნისა და საქონლის ჭრილში სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით	1 პერიოდის (თვე, წელი) 1 ქვეყანა	5 ლარი
03 012	იმპორტი ქვეყნისა და საქონლის ჭრილში სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით	1 პერიოდის (თვე, წელი) 1 ქვეყანა	10 ლარი
03 013	საქონლის ექსპორტი ექსპორტიორთა ნუსხის მითითებით (50 უმსხვილესი ექსპორტიორი)	1 პერიოდის 1 საქონელი ექსპორტიორების მიხედვით	5 ლარი
03 014	საქონლის იმპორტი იმპორტიორთა ნუსხის მითითებით (50 უმსხვილესი იმპორტიორი)	1 პერიოდის 1 საქონელი იმპორტიორების მიხედვით	10 ლარი

03 015	ექსპორტი ქვეყნისა და ექსპორტიორთა ნუსხის მითითებით (50 უმსხვილესი ექსპორტიორი)	1 პერიოდის 1 ქვეყანა	5 ლარი
03 016	ექსპორტი ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის, ექსპორტიორთა (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) და საქონლის ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა/ ქვეყნის ჯგუფი	30 ლარი
03 017	ექსპორტი ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის, უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების და ექსპორტიორთა (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა/ქვეყნის ჯგუფი	40 ლარი
03 018	ექსპორტი საქონლის, ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფისა და ექსპორტიორთა (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 საქონელი	20 ლარი
03 019	ექსპორტი საქონლის, ექსპორტიორთა (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) ნუსხისა და ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 საქონელი	20 ლარი
03 020	ექსპორტი ტრანსპორტის სახეობებისა და ექსპორტიორთა (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი) 1 ტრანსპორტის სახეობა	5 ლარი
03 021	ექსპორტი ტრანსპორტის სახეობის, ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის და ექსპორტიორთა (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ტრანსპორტის სახეობა და 1 ქვეყანა	10 ლარი
03 022	ექსპორტი ტრანსპორტის სახეობის, უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების (ტოპ 20) და ექსპორტიორთა (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ტრანსპორტის სახეობა	40 ლარი
03 023	ექსპორტი ტრანსპორტის სახეობის, ექსპორტიორების (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) და საქონლის ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ტრანსპორტის სახეობა	40 ლარი
03 024	ექსპორტი ტრანსპორტის სახეობის, ექსპორტიორთა (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) ნუსხისა და ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ტრანსპორტის სახეობა	40 ლარი
03 025	ექსპორტი ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის, ტრანსპორტის სახეობის, ექსპორტიორთა (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა	20 ლარი
03 026	ექსპორტი უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების (ტოპ 10), ტრანსპორტის სახეობის, ექსპორტიორთა (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	40 ლარი
03 027	იმპორტი ქვეყნისა და იმპორტიორთა ნუსხის მითითებით (50 უმსხვილესი იმპორტიორი)	1 პერიოდის 1 ქვეყანა	10 ლარი
03 028	იმპორტი ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის, იმპორტიორთა (50 უმსხვილესი იმპორტიორი) და საქონლის ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა/ ქვეყნის ჯგუფი	40 ლარი
03 029	იმპორტი ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის, უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების და იმპორტიორთა (50 უმსხვილესი იმპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა/ ქვეყნის ჯგუფი	50 ლარი
03 030	იმპორტი საქონლის, ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფისა და იმპორტიორთა (50 უმსხვილესი იმპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 საქონელი	30 ლარი
03 031	იმპორტი საქონლის, იმპორტიორთა (50 უმსხვილესი იმპორტიორი) ნუსხისა და ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 საქონელი	30 ლარი
03 032	იმპორტი ტრანსპორტის სახეობებისა და იმპორტიორთა (50 უმსხვილესი ექსპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი) 1 ტრანსპორტის სახეობა	10 ლარი
	იმპორტი ტრანსპორტის სახეობის, ქვეყნის/ქვეყნის		

03 033	ჯგუფის და იმპორტიორთა (50 უმსხვილესი იმპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ტრანსპორტის სახეობა და 1 ქვეყანა	20 ლარი
03 034	იმპორტი ტრანსპორტის სახეობის, უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების (ტოპ 20) და იმპორტიორთა (50 უმსხვილესი იმპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ტრანსპორტის სახეობა	50 ლარი
03 035	იმპორტი ტრანსპორტის სახეობის, იმპორტიორების (50 უმსხვილესი იმპორტიორი) და საქონლის ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ტრანსპორტის სახეობა	50 ლარი
03 036	იმპორტი ტრანსპორტის სახეობის, იმპორტიორთა (50 უმსხვილესი იმპორტიორი) ნუსხისა და ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ტრანსპორტის სახეობა	50 ლარი
03 037	იმპორტი ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის, ტრანსპორტის სახეობის, იმპორტიორთა (50 უმსხვილესი იმპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა	30 ლარი
03 038	იმპორტი უმსხვილესი სასაქონლო პოზიციების (ტოპ 10), ტრანსპორტის სახეობის, იმპორტიორთა (50 უმსხვილესი იმპორტიორი) ნუსხის მითითებით	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	50 ლარი
03 039	ექსპორტიორი კომპანია საქონლის ნუსხის/ქვეყნების მითითებით	1 პერიოდის 1 კომპანია	5 ლარი
03 040	ექსპორტიორი კომპანია ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის და საქონლის ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 კომპანია	10 ლარი
03 041	იმპორტიორი კომპანია ქვეყნების/საქონლის ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 კომპანია	10 ლარი
03 042	იმპორტიორი კომპანია ქვეყნის/ქვეყნის ჯგუფის და საქონლის ნუსხის მითითებით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 კომპანია	20 ლარი
03 043	ბოსტნეულის ექსპორტი ან იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	30 ლარი
03 044	ხილის ექსპორტი ან იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	20 ლარი
03 045	ბუნებრივი მინერალური წყლების/ მტკნარი წყლების ექსპორტი/იმპორტი ექსპორტი ან იმპორტი სახეობების მიხედვით ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	10 ლარი
03 046	ყურძნის ნატურალური ღვინოების ექსპორტი/რეექსპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით სახეობების, ფერისა და	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	35 ლარი
03 047	ყურძნის ნატურალური ღვინოების იმპორტი სახეობების, ფერისა და ქვეყნების მიხედვით	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	45 ლარი
03 048	სპირტიანი სასმელების ექსპორტი/რეექსპორტი სახეობების მიხედვით სახეობებისა და ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	15 ლარი
03 049	სპირტიანი სასმელების იმპორტი სახეობებისა და ქვეყნების მიხედვით	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	25 ლარი
03 050	თევზის ექსპორტი ან იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	10 ლარი
03 051	სიგარეტების ექსპორტი/რეექსპორტი/იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	10 ლარი

	მიხედვით ქვეყნების ჭრილში		
03 052	ზეთის ექსპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით სახეობების, დანიშნულებისა (საკვები/ტექნიკური) და ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	15 ლარი
03 053	ზეთის იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით სახეობების, დანიშნულებისა (საკვები/ტექნიკური) და ქვეყნების ჭრილში	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	20 ლარი
03 054	სატვირთო ავტომობილების ექსპორტი/რეექსპორტი/იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების შესაბამისად, ქვეყნების მიხედვით სხვადასხვა ჭრილში: ძრავის მოცულობა, საწვავის ტიპი, მასა, ახალი და ექსპლუატაციაში ნამყოფი	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	45 ლარი
03 055	ავტობუსებისა და მიკროავტობუსების ექსპორტი/რეექსპორტი/იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების შესაბამისად, ქვეყნების მიხედვით სხვადასხვა ჭრილში: ძრავის მოცულობა, საწვავის ტიპი, მასა, ახალი და ექსპლუატაციაში ნამყოფი	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	35 ლარი
03 056	სატვირთო ავტომობილების ექსპორტი ან იმპორტი ან რეექსპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების შესაბამისად, შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ძრავის მოცულობა, საწვავის ტიპი, მასა, ახალი და ექსპლუატაციაში ნამყოფი	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	30 ლარი
03 057	ავტობუსებისა და მიკროავტობუსების ექსპორტი ან იმპორტი ან რეექსპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების შესაბამისად, შემდეგი პარამეტრების მიხედვით: ძრავის მოცულობა, საწვავის ტიპი, მასა, ახალი და ექსპლუატაციაში ნამყოფი	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	25 ლარი
03 058	საავტომობილო ბენზინის იმპორტი ან ექსპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების შესაბამისად, ქვეყნების მიხედვით სხვადასხვა ჭრილში: ტიპი, ტყვიის შემცველობა, ოქტანობა	1 პერიოდი (თვე, კვარტალი, წელი)	20 ლარი
03 059	უმსხვილესი ექსპორტიორი და იმპორტიორი ორგანიზაციები ნუსხა	1 საწარმო	5 ლარი + 1 ლარი თოთოეულ საწარმოზე
03 060	ექსპორტი ან რეექსპორტი ქვეყნების, სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების და ტრანსპორტის სახეობების მიხედვით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა	20 ლარი
03 061	იმპორტი ქვეყნების, სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების და ტრანსპორტის სახეობების მიხედვით	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა	40 ლარი
03 062	ექსპორტი/რეექსპორტი ან იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჯგუფების ჭრილში (ევროკავშირი, დსთ, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ბისეკი, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია – წევრი ქვეყნების მიხედვით)	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 სასაქონლო კოდი	5 ლარი + 2 ლარი 1 პერიოდზე
03 063	ექსპორტი/რეექსპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჯგუფების ჭრილში (ევროკავშირი, დსთ, ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ბისეკის ქვეყნები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია)	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1 ქვეყანათა ჯგუფი	10 ლარი
	იმპორტი სასაქონლო ნომენკლატურის 9- და 11- ნიშნა კოდების მიხედვით ქვეყნების ჯგუფების ჭრილში (ევროკავშირი, დსთ, ეკონომიკური განვითარებისა და	1 პერიოდის (თვე, კვარტალი, წელი) 1	

03 064	თანამშრომლობის ორგანიზაცია, ბისეკის ქვეყნები, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია)	ქვეყანათა ჯგუფი	15 ლარი
03 065	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნებისა და კომპანიების მიხედვით	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა	5 ლარი
03 066	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორებისა და კომპანიების მიხედვით	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 სექტორი	10 ლარი
03 067	ამოღებულია (საქსტატის საბჭოს დადგენილება №27. 30.12.2015)		
03 068	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნებისა და ინვესტორი კომპანიების** მიხედვით	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა	10 ლარი
03 069	ამოღებულია (საქსტატის საბჭოს დადგენილება №27. 30.12.2015)		
03 070	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორებისა და ინვესტორი კომპანიების** მიხედვით (ნუსხა)	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 სექტორი	20 ლარი
03 071	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების, ეკონომიკის სექტორებისა და კომპანიების მიხედვით (ნუსხა)	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა	20 ლარი
03 072	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების, ქვეყნებისა და კომპანიების მიხედვით (ნუსხა)	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 სექტორი	70 ლარი
03 073	კომპანიების ნუსხა განხორციელებული უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ინვესტორი კომპანიებისა** და მათი რეზიდენტობის ქვეყნის ჭრილში (ნუსხა)	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 საწარმო	5 ლარი
03 074	კომპანიების ნუსხა განხორციელებული უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ინვესტორი კომპანიებისა** და ეკონომიკის სექტორების ჭრილში (ნუსხა)	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 საწარმო	5 ლარი
03 075	უმსხვილესი კომპანიების ნუსხა, სადაც განხორციელდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციები/ქვეყნების/ეკონომიკის სექტორების მითითებით	1 საწარმო	5 ლარი + 1 ლარი 1 საწარმოზე
03 076	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების და ქვეყნების კომპანიების/ინვესტორი კომპანიების** მიხედვით	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 რეგიონი	10 ლარი
03 077	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნებისა და რეგიონების მიხედვით	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა	5 ლარი + 2 ლარი 1 პერიოდზე
03 078	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების და ეკონომიკის სექტორების მიხედვით	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 რეგიონი	5 ლარი
03 079	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორებისა და რეგიონების მიხედვით	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 სექტორი	5 ლარი
03 080	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების, ეკონომიკის სექტორების, რეგიონების და კომპანიების მიხედვით	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა	20 ლარი
03 081	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების, ქვეყნების, ეკონომიკის სექტორებისა და კომპანიების მიხედვით	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 რეგიონის 1 ქვეყანა	10 ლარი
03 082	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები რეგიონების, ეკონომიკის სექტორების, ქვეყნებისა და კომპანიების მიხედვით	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 რეგიონის 1 სექტორი	15 ლარი

03 083	კომპანიების ნუსხა განხორციელებული უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ინვესტორი კომპანიების**, მათი რეზიდენტობის ქვეყნის და რეგიონების ჭრილში	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 საწარმო	7 ლარი
03 084	კომპანიების ნუსხა განხორციელებული უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ინვესტორი კომპანიების**, ეკონომიკის სექტორების და რეგიონების ჭრილში	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 საწარმო	7 ლარი
03 085	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 3 ძირითადი კომპონენტის (კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ინსტრუმენტები) და ქვეყნების/ეკონომიკის სექტორების/რეგიონების მიხედვით	1 პერიოდი (კვარტალი, წელი)	15 ლარი
03 086	პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების/ეკონომიკის სექტორების/რეგიონების და 3 ძირითადი კომპონენტის (კაპიტალი, რეინვესტიცია და სავალო ინსტრუმენტები) მიხედვით	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 ქვეყანა/ 1 სექტორი/ 1 რეგიონი	2 ლარი
04 001	საშუალო ფასები – ეროვნულ დონეზე და ცალკეული ქალაქების მიხედვით სამომხმარებლო კალათის შესაბამისად (ყოველთვიური, კვარტალური, წლიური)	1 პერიოდზე (ყოველთვიური, კვარტალური, წლიური) 1 პროდუქტი	5 ლარი + 0.5 ლარი 1 პერიოდზე
04 002	სხვადასხვა წლების თანხების გადაანგარიშება ინფლაციის გათვალისწინებით – ცნობა	ცნობა 1 პერიოდზე	5 ლარი + 2 ლარი 1 პერიოდზე
04 003	სამომხმარებლო ფასების ინდექსები ეროვნულ დონეზე და ცალკეული ქალაქების მიხედვით, სამუშაოთა პროგრამით დადგენილისაგან განსხვავებულ საბაზო პერიოდთან შედარებით ან/და განსხვავებული დაჯგუფებით.	1 პერიოდზე (ყოველთვიური, კვარტალური, წლიური) 1 პროდუქტი	5 ლარი + 0.5 ლარი 1 პერიოდზე
04 004	მწარმოებელთა და იმპორტის ფასების, ასევე მშენებლობის ღირებულების ინდექსები, სამუშაოთა პროგრამით დადგენილისაგან განსხვავებულ საბაზო პერიოდთან შედარებით.	1 პერიოდზე (ყოველთვიური, კვარტალური, წლიური) 1 ინდექსი	5 ლარი + 0.5 ლარი 1 პერიოდზე
05 001	ოჯახურ მეურნეობებში მემცენარეობის გადამუშავებული პროდუქტების წარმოება	1 პერიოდის (წლიური) 1 მონაცემი	5 ლარი
05 002	ოჯახურ მეურნეობებში მეცხოველეობის გადამუშავებული პროდუქტების წარმოება	1 პერიოდის (კვარტალური, წლიური) მონაცემი	5 ლარი
06 001	სასურსათო პროდუქტების მოხმარება	1 პერიოდის (წლიური) 1 პროდუქტი	5 ლარი
06 002	მუზეუმების სია მუნიციპალიტეტის ჭრილში	1 პერიოდი (1 წელი)	5 ლარი + 0,25 ლარი თითოეულ სუბიექტზე
06 003	მუზეუმებში ექსპონატების რაოდენობა, მუნიციპალიტეტის ჭრილში	1 პერიოდი (1 წელი)	5 ლარი + 0,25 ლარი თითოეულ მუნიციპალიტეტზე
06 004	მუზეუმებში დამთვალიერებელთა რიცხოვნობა, მუნიციპალიტეტის ჭრილში	1 პერიოდი (1 წელი)	5 ლარი + 0,25 ლარი თითოეულ მუნიციპალიტეტზე
06 005	თეატრების სია მუნიციპალიტეტის ჭრილში	1 პერიოდი (1 წელი)	5 ლარი + 0,25 ლარი თითოეულ სუბიექტზე
06 006	მოსახლეობის (ბავშვები, მოზარდები, მოზრდილები) ავადობა დაავადებათა ჯგუფების მიხედვით (დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის X გადახედვის შესაბამისად), რეგიონულ ჭრილში	1 პერიოდი (1 წელი), 1 მონაცემი	5 ლარი + 0,25 ლარი 1 რეგიონის 1 მონაცემზე (დაავადების სახე)
06 007	სასწრაფო სამედიცინო დახმარებით მოსახლეობის მომსახურების მაჩვენებლები, რეგიონულ ჭრილში	1 პერიოდი (1 წელი),	5 ლარი + 0,25 ლარი

		1 მონაცემი	1 რეგიონის 1 მონაცემზე
06 008	აბორტები, ასაკობრივ და რეგიონულ ჭრილში	1 პერიოდი (1 წელი), 1 მონაცემი	5 ლარი + 0,25 ლარი 1 რეგიონის 1 მონაცემზე
06 009	საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი ეკონომიკური საქმიანობის სახეების საქართველოს ეროვნული კლასიფიკატორის „სეკ-001-2004“ (NACE) 4 და 5 ნიშნა დონეზე.	1 პერიოდის (კვარტალი, წელი) 1 მონაცემი	5 ლარი + 1 ლარი 1 მონაცემზე
07 001	ბეჭდური სტატისტიკური პუბლიკაცია „სტატისტიკური წელიწდეული“		30. ლარი

2. საგარეო ვაჭრობის სტატისტიკური მონაცემების დამატებითი დამუშავებით 9 ნიშნამდე დეტალიზაცია შესაძლებელია 1995 წლიდან, ხოლო 11 ნიშნამდე – 2005 წლიდან.

მუხლი 4. სხვა ფასიანი ინფორმაციის საფასურისა და მომსახურების ტარიფების განსაზღვრა

სხვა ფასიანი ინფორმაციის საფასური და მომსახურების ტარიფები გაანგარიშდება შემდეგნაირად:

N	**ერთეული**	**მომსახურების** **ვადა**	**ღირებულება**
1.	**1 კაც/საათი** (ერთი თანამშრომლის მიერ 1 საათის განმავლობაში გაწეული სამუშაო)	10 დღე	8,5 ლარი

მუხლი 5. ინფორმაციის ბეჭდვითი სახით გაცემა

1. ამ წესის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაციის ბეჭდვითი სახით გაცემის შემთხვევაში საფასური განისაზღვრება შემდეგნაირად :

1.1. თუ გვერდების რაოდენობა 10-ს აღემატება, თითოეულ გვერდზე ემატება: A4 და A5 ფორმატის ქსეროასლი – 1 გვერდი – 0,05 ლარი;

1.2. ლაზერულ პრინტერზე ამობეჭდვა – 1 გვერდი – 0,10 ლარის საფასური.

მუხლი 6. კომპაქტდისკზე ინფორმაციის ჩაწერა და გაცემა

ამ წესის ფარგლებში მოთხოვნილი ინფორმაციის კომპაქტდისკზე (CD) ჩაწერის საფასური, 1 დისკზე შეადგენს 2.65 ლარს.

მუხლი 7. სტატისტიკური მონაცემების დამატებითი დამუშავებით მომსახურების გაწევისთვის დადგენილი საფასურის გადახდისგან გათავისუფლება

1. საქსტატის მიერ, სტატისტიკური სამუშაოების პროგრამის ფარგლებს გარეთ, მომსახურების გაწევისათვის დადგენილი საფასურის გადახდისაგან (გარდა ბეჭდური სტატისტიკური პუბლიკაციის გაცემისას) თავისუფლდებიან:

1.1. საქართველოს პარლამენტი, საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია, საქართველოს სამინისტროები და მის შემადგენლობაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულებები და საჯარო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, საქართველოს ეროვნული ბანკი, სასამართლო, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტები (უმაღლესი სასწავლებლის წარდგინების საფუძველზე), ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოები, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური;

1.2. საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობები, საერთაშორისო ორგანიზაციები, საქსტატის დონორი ორგანიზაციები, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოითხოვს დამატებითი სამუშაოების გაწევას;

1.3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული ოჯახის წევრი, ამ წესის მე-3 მუხლის „02 001“ და „04 002“ ნუმერაციით გათვალისწინებული ინფორმაციისთვის, თუ მოთხოვნილი ინფორმაცია არ მოითხოვს დამატებითი სამუშაოების გაწევას.

მუხლი 8. სტატისტიკური მონაცემების დამატებითი დამუშავებით მომსახურების გაწევისთვის დადგენილი საფასურის გადახდისას შეღავათით სარგებლობა

1. სტატისტიკური მონაცემების დამატებითი დამუშავებით მომსახურების გაწევისთვის დადგენილი საფასურის გადახდისას (გარდა ბეჭდური სტატისტიკური პუბლიკაციის გაცემისას) შეღავათით სარგებლობენ:

1.1. პირები, რომლებიც მიმდინარე წელს მონაწილეობენ საქსტატის მიერ წარმოებულ გამოკითხვებში, მიმდინარე წლის განმავლობაში სარგებლობენ 30%-ის ფასდაკლებით;

1.2. პირები, რომლებიც რეგულარულად ინფორმაციის მიღების თაობაზე გააფორმებენ ხელშეკრულებას არანაკლებ ერთი წლის ვადით. შეღავათის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით.

მუხლი 9. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესში ცვლილებების და დამატებების შეტანა ხორციელდება საქსტატის საბჭოს დადგენილებით კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.